შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლო
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

საქმე №3/3877-13	დავით სახვაძე, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	ინგა კვაჭანტირაძე მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	სანაპიროს ქ. N4
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

მაია დვალიშვილი	35001054893	ქ. რუსთავი, საakaძის N4-45
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
		საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
	595 19 25 71	makodvalishvili@yahoo.com
სახლის ტელ. სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, ავრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გავრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობით თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მოსარჩელე არასწორად განმარტავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის მიზანს, ვინაიდან მიაჩნია, რომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, ძეგლის გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზანი, რაც მხოლოდ მოსარჩელეთა მოსაზრებებს წარმოადგენს. კომისიის შექმნის ბრძანების სათაურშივე მითითებულია, რომ კომისია იქმნება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად.
მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
კომპანია "ერემჯის" წერილი არ გამხდარა ძეგლის სტატუსის მინიჭებისა თუ მოხსნის საფუძველი. აღნიშნულ წერილში კომპანიის დირექტორი გამოთქვამს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ინჟინერ ექსპერტთა დასკვნებით სამთო გამონამუშევრების პირვანდელი სახით შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხის არსებობის გამო, სამინისტროს მიმართავს რეკომენდაციით ძეგლის სტატუსის შენარჩუნებით მოხდეს ძეგლის ანალოგიურ და უსაფრთხო გარემოში გადატანა.
სამინისტრო ასევე არ ეთანხმება, რომ კომისიის დასკვნა ტენდენციურია და შეიცავს ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან კომისიის შემადგენლობაში შედიოდა 11 კვალიფიციური ექსპერტი, რომელთა დასკვნას და რეკომენდაციებს თან ერთვის კომისის წევრების - დავით ლომიტაშვილი, ომარ ქუცნაშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე და დამოუკიდებელი ექსპერტების - ნინო შეყრილაძე, რუდოლფ მიხელსონი - მოსაზრებები, რომლებიც ასევე ეჭვქვეშ აყენებს საყდრისი-ყაჩაღიანის ქედზე მდებარე მაღაროში, პრეისტორიულ ხანაში გეოლოგიური კუთხით ოქროს მოპოვების შესაძლებლობას.
მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
რაც შეეხება მოსარჩელეთა მიერ მითითებულ დანარჩენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიგვაჩნია რომ მხოლოდ მოსარჩელეთა ვარაუდებზეა დამყარებული, ვინაიდან კომისიის მიერ მოძიებულ და შესწავლილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული კვლევები, საზოგადოებაში წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, სამინისტროში მოეწყო შეხვედრები ჟურნალისტებთან, უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან, სადაც გაიმართა მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდეს სახელმწიფოს მიერ, ერთის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მართვის, მეორეს მხრივ კი, თანამედროვე წარმოების ზრდისა და განვითარების საკითხების ურთიერთშეჯერება.
მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

ძტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-12 შენიშვნა-13 შენიშვნა-14

1. ფაქტობრივი გარემოება

ძტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

ძტკიცებულება:
ა. (დანართი)

....

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

ᲓᲘᲐᲮ ☐ რის საფუძველზე?

ᲐᲠᲐ ☒

შენიშვნა-15

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

ᲓᲘᲐᲮ ☒ რის საფუძველზე? ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

ᲐᲠᲐ ☐

სამინისტროს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელის ავტორები ვერ ადასტურებენ რა კავშირშია მათთან გასაჩივრებული ბრძანება ან რა პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგებათ მათ კანონიერ ინტერესებს. შესაბამისად, სამინისტროს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი შეტანილია არაუფლებამოსილი პირების მიერ და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26 მეორე პრიმა მუხლის საფუძველზე, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

ᲓᲘᲐᲮ ☐ რომელი საფუძვლით?

ᲐᲠᲐ ☐

შენიშვნა-17

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

ᲓᲘᲐᲮ ☐ რომელი საფუძვლით?

ᲐᲠᲐ ☐

შენიშვნა-18

ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲖᲔ

შენიშვნა-19 შენიშვნა-20 შენიშვნა-21

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

სამინისტრო არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას, და მიიჩნევს დაუსაბუთებული და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60 პრიმა მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება გულისხმობს ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებით, ამასთან აქტი უნდა იყოს სამართლებრივად დასაბუთებული და შეიცავდეს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს.

მატერიალური კანონიერება კი გულისხმობს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოქმედ კანონებთან და სამართლის ზოგად პრინციპებთან, რაც არ ყოფილა უგულებელყოფილი სადაო აქტის გამოცემისას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის 03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა შეესწავლა აღნიშნულ ობიექტზე ჩატარებული სამთო არქეოლოგიური კვლევები, რაც უძველესი ოქროს მაღაროს შესაძლო არსებობას დაადასტურებდა, ვინაიდან სამინისტროსა და კომპანია ერემჯის-ის წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კომპანიის მიერ ჩატარებული გეოლოგიური კვლევები საეჭვოდ ხდიდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ოქროს მაღაროს არსებობას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეისწავლა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების იურიდიული საუძვლები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" სამართლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006 წლის N3/133 ბრძანება. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", რომლის 77-ე მუხლის მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ", რის შედეგადაც „ნორმატიული აქტების შესახებ" 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად, კერძოდ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ივლისის θ212, 1982 წლის 06 მაისის N339, 1983 წლის N274, 1985 წლის 20 მარტის N179, 1986 წლის 14 ნოემბრის N706, 1989 წლის 5 მაისის N212 დადგენილებები ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 10 მარტის N06.22.185. გადაწყვეტილება, ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 14 აგვისტოს და 21 აგვისტოს N748 და N430 დადგენილებები, ასევე ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 25 მარტის N01.19.19 დადგენილება. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული ძველი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი საყდრისი ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად, საყდრისი ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი

რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 53-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა, ვინაიდან აღნიშნული მუხლების მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს და დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

აგრეთვე, დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა. შესაბამისად, აშკარაა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 გამოცემით, ბათილად გამოცხადდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების დანართის ის ჩანაწერი, სადაც საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროზეა საუბარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროს ასევე მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელის ავტორები ვერ ადასტურებენ რა კავშირშია მათთან გასაჩივრებული ბრძანება ან რა პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგებათ მათ კანონიერ ინტერესებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

შესაბამისად, სამინისტროს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი შეტანილია არაუფლებამოსილი პირების მიერ და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26 მეორე პრიმა მუხლის საფუძველზე, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-23

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-28

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარგიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-29

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-30 *შენიშვნა-31*

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა: 10

....

თანახმა ხართ თუ ა ა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ა სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	მ. დვალიშვილი	16/12/2013 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.